IX თავი

მობილობა ბსუ-ში და შიდა მობილობა

საქართველოს სხვადასხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს შეუძლიათ გადმოვიდნენ და სწავლა გააგრძელონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე"** ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 03 თებერვლის N01-02/16 ბრძანების შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 9**).

მობილობა ხორციელდება წელიწადში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემეს-ტრებში (კონკრეტულ ვადებს ადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად.

ბსუ-ში მობილობის მსურველი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე, გააკეთოს განაცხადი მობილობაზე, გადაიხადოს მობილობის საფასური, ხოლო დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში წარმოადგინოს :

ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu@edu.ge);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ე) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

შენიშვნა: რექტორის ბრძანებით შესაძლებელია დაიშვას დოკუმენტაციის ელექტრონულად (info@bsu.edu.ge ან) წარმოდგენა, ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის დედნები (კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლები) წარმოდგენილი უნდა იქნეს მატერიალური სახით კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებასთან ერთად.

შიდა მობილობა

შიდა მობილობის ფარგლებში, ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის სტატუსშეჩერებულ სტუდენტს) საშუალება აქვს შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა იმავე ფაკულტეტზე ან გადავიდეს ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება დამატებითი სემესტრის სტუდენტს.

შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფ-ხულის სემესტრებში და წარიმართება ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 03 თებერვლის N01-02/16 ბრძანების შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 9**).

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის **შეცვლის (შიდა მობილონის) მსურველმა ბსუ-ს სტუდენტმა** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu@edu.ge);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;
დ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსრუველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველმა ბსუ-ს **სტუდენტის სტატუსშეჩერებულმა პირმა** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu@edu.ge);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;

დ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;

ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსრუველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

ვ) ცნობა ბსუ-ში სწავლის ფინანსური დავალიანების დაფარვის შესახებ ან სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი, თუკი პირს ერიცხება სწავლის საფასურის დავალიანება.

შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა თუკი აღემატება ვაკანტური ადგილების რაოდენობას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბრძანება გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის დროისათვის მას არ ერიცხება ფინანსური დავალიანება (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი აღბიშნულ ინფორმაციას გამოითხოვს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან).

საერთაშორისო მობილობა

საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2).**

ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბსუ-სა და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებულ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული **„საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესისა“** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N32)** და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ დეპარტამენტის ინიციტივით ვრცელდება საუნივერსიტეტო **სტუდენტური პორტალის** (portal.bsu.edu.ge) მეშვეობით (სამსახურებრივი ბარათი წარედგინება ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს), დეპარტამენტის მიერ ინიცირებული საინფორმაციო შეხვედრამდე 10 დღით ადრე. ინფორმაცია ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, დეპარტამენტის სოციალურ ქსელში (FACEBOOK-გვერდზე) და დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან და უნივერსიტეტის სხვა საინფორმაციო დაფებზე.

კონკურსი ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრისათვის, თუ შესაბამისი პროგრამით სხვა თარიღი არ არის განსაზღვრული.

სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, ბსუ-ს რექტორს წარუდგენს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობის განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე სამსახურებრივ ბარათს (აღნიშნული დროისთვის დეპარტამენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით), რომელშიც უნდა მიეთითოს კონკურსის ვადების, ეტაპების, პირობების, შეფასების კრიტერიუმები და კომისიის წევრების სავარაუდო შემადგენლობა.

ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის საერთაშორისო მობილობის სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე.